სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 0 23 0001482230

02/11/2023

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით ჩასატარებელი შეფასების პროცედურების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანების, “2023 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 20 სექტემბრის MES 3 23 0001201928 ბრძანების, „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.2023 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდი განისაზღვროს 2023 წლის 02 ნოემბრიდან 2023 წლის 06 ნოემბრის ჩათვლით.

2.საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის მიზნით შეფასების პროცედურები განისაზღვროს №1 დანართის შესაბამისად.
3.დამტკიცდეს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შესარჩევი კომისიების შემადგენლობა №2 დანართის შესაბამისად.
4.დამტკიცდეს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სააპელაციო კომისიების შემადგენლობა №3 დანართის შესაბამისად.
5.დამტკიცდეს საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შეფასების პროცედურის ვადები №4 დანართის შესაბამისად.
6.დამტკიცდეს მოტივაციური გასაუბრების და შეფასების ფორმები №5 და № 6 დანართის შესაბამისად.
7.დამტკიცდეს შემოქმედებითი ტურის შეფასების ფორმა №7 დანართის შესაბამისად.
8.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შეფასების პროცედურის ორგანიზაციული საკითხების ადმინისტრირება დაევალოს სტუ-ს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს თამარ წერეთელს.
9.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სტუ-ის ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს.
10.ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს.
11.ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
12.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64).



რექტორი
გურგენიძე დავით